

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებებით

ნინო ლეთანძე

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება მსოფლიოსა და საქართველოში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება შიფრი 02

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი პროფესორი ნ. გალახვარიძე

რეცენზენტები: პროფესორი კ. არაბული

პროფესორი რ. ოთინაშვილი

დაცვა შედგება 2017 წლის ” 10 ”, 04 , 15. საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი VI, აუდიტორია .

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

პროფესორი ლელა კოჭლამაზაშვილი

Resume

This dissertation work is about “Tourism Economic Safety between world and Georgia” concerns important topics. The work consists of 165 pages and to get doctor's degree submitted dissertation work includes the execution of instructions: the title page, the signature page, the authorright's page, resume in two languages, the contents the list of timetable and drawings, the text of the list of references. The main text consists of: introduction, literature review, three topics, nine chapters, conclusion and list of refer-ences.

The introduction discusses the importance of the topic, research goals and objectives, theoretical and methodological principles, the subject of research. Scientific novelty is proposed and its practical value; Main provisions of the publications and the results and discuss them; The volume of work and structure.

Literature review of the current literature and scientific works, which is a particular type of information about the problem of dissertation work or set of alternative methods to solve it.

The first chapter of the dissertation- “theoretical and methodological issues of tourism economic security,, includes the following sections: 1.1 The essence of tourism's economic security; 1.2 The experience of foreign countries in tourism security; 1.3 Tourism Organizations and reference acts.

Economic security, national security is an important part of the determining factors for the development of the state. Under modern conditions, the national economy, the tourism industry is gaining more and more importance terms of economic security. Safety concept includes an individual, a community, a state vital to protect the interests of the internal and external threats..

Tourism policy is a system of economic relations, within which states interact with the government, the public and private sectors. Tourism at the international level are governed by the conventions, treaties and international agreements on the basis of region and the level of tourism in the legislative regulation of the relevant laws and regulations.

Tourism policy is recognized by the whole world, that everybody has the right to rest and move freely, if the law does not provide for restrictions. Tourism Global Code of Ethics of the International Convention, according to which, it is necessary to host tourist activities in the region or country-specific characteristics and traditions in harmony with the laws, customs and traditions with respect.

The second chapter of the dissertation –“tourism development factors” (threats trip) includes the following sections: 2.1 Statistical review of world tourism in regional development; 2.2 Tourism Organization risks and problems; 2.3 World crises and their economic impact, the impact of tourism development.

World Tourism Organization 2015 international tourism statistics by region clearly shows how the industry is developing rapidly during the first decade of the XXI, the seriousness of the role of tourism in each country and region of the formation.

The adverse impacts of the tourism business, it is necessary to prevent a detailed analysis of the risks, which require classification. Tourism is very sensitive to any crisis, such as economic, social, and other terrorism. It is quick to respond to any changes than other sectors of economic activity, but at the same time quickly restore the state of tourism.

XXI century crisis (mainly natural disasters and terrorism) to tourists and tourism service providers the tourism industry to make it flexible: each new crisis in the country on a new tourist destinations. XXI century, large-scale disasters are reflected in the leading countries in tourism and tourists coming to the income from tourism.

The third chapter of the thesis – “Strategic direction of economic security of Georgia tourism” includes next chapters: 3.1 Georgia’s economy and tourism. 3.2. Actual questions of Georgia’s economic tourism security. 3.3. Investment and tourism.

Properly constructed and implemented economic policies, a small population and territory of all the little ones in a very short period of wealth and power equivalent to those countries, which are far in excess of population, and occupy a large area. The problems of economic security of activating one of the reasons include increased globalization of the economy and involve them in objective processes. 5,897,685 tourists visited Georgia in 2015, the statistical data, 7% more than in 2014, while revenue compounded approximately 1,600,000. Tourism's share of gross domestic product in 2015 is 7.1%. It can be said, our country's economic and political success of the development of tourism plays an important role, but it is necessary to return to Georgia and the rest of the applicants satisfy the conditions necessary for compliance with international standards.

By the time the economic science does not have a complex methodological approaches for the safe development of the tourism sector. Georgia is not ready for the tourism industry to respond to the economic security when destinations in risky situations are created. Thus, the country is, as the tourism sector as a whole, as well as destination security problems.

Tourism development policy should be based on the National Security Concept, which will take into account the national interests of the country in all fields, including the economy. It should be focused on the liberalization of the sector and the maintenance of investments. The government should play a leading role in the tourism development strategy, which will be fully taken into account the economic, ecological, social and organizational aspects. It should be noted that tourism is important for the development of tourism in the economic study of the safety aspect

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა: ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს სახელმწიფოს განვითარებისათვის. თანამედროვე პირობებში, ეროვნული ეკონომიკისათვის ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა მეცნიერთათვის კვლევის საგანი გახდა 80-90-იანი წლებიდან და დღესაც აქტიურად განიხილება სახელმწიფო დონეზე. კონცეპტუალური ნაშრომები ამ პრობლემის შესახებ პერიოდულად თიქსირდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა სახის სახელმწიფო დოკუმენტებში, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიებს.

მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს ტურიზმი. პრიორიტეტის წყაროს წარმოადგენს არაიმდენად დარგის პოტენციურად მაღალი შემოსავლიანობა რეგიონული და ფედერალური ბიუჯეტებისათვის, არამედ თავად საქმიანობის არსი, რომელიც მიმართულია დასვენების, როგორც მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფის და როგორც შვებულების შედეგიანად გამოყენების საშუალება. ასევე, ტურიზმი არის განვითარებადი ქვეყნებისთვის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო სტრატეგია, რომელიც მცირე დროში შემოსავლების მიღების, ეკონომიკის სტიმულირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს, როგორც ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსებით მდიდარ ქვეყანას, საკმარისი პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ ტურიზმი გახდეს ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი, მაგრამ ქვეყანაში თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შექმნას და ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტების მოზიდვას, თან ახლავს რიგი პრობლემები ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალური, სამართლებრივი კუთხით.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისი როლი ეროვნულ ეკონომიკაში, ხოლო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ეს დარგი აუცილებლად უნდა განვიხილოთ ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ტურისტული დარგის პრობლემებთან მიმართებაში ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთ სახეებზე, როგორცაა ეკოლოგიური, ფინანსური, ინფორმაციული უსაფრთხოება.

ამ დროისათვის ეკონომიკურ მეცნიერებას არ გააჩნია კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომა თანამედროვე პირობებში ტურიზმის სფეროს უსაფრთხო განვითარებისათვის. საქმიანობის ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით არ არის განხილული ტურიზმის განვითარების უსაფრთხოება, როგორც კომპლექსური სოციო-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს, როგორც საფრთხე, ასევე, ეკონომიკური ზრდის ფაქტორი მიმღები დესტინაციის ეკონომიკისათვის. მეცნიერულ ლიტერატურაში აუხსნელი რჩება ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების კვლევის თეორიული ასპექტები, არ არის ძირითადი ცნებების მკაფიო განმარტება და ცალკეული მოვლენების კლასიფიკაცია. ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, და მათ შორის საქართველოსთვის, ტურიზმის სფეროს უსაფრთხოების საკითხები. მნიშვნელოვანია როგორც მთლიანად ტურიზმის სფეროს, ასევე ცალკეული დესტინაციების უსაფრთხოების პრობლემა, რომელთა გადაჭრა და მოგვარება არის საფუძველი ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისთვის.

როგორც სხვა სახელმწიფოების, ასევე საქართველოს ეკონომიკაში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თეორიული და პრაქტიკული სფეროს კვლევის ანალიზმა, ამ სფეროს უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის ახალი მიდგომების შემუშავებამ აჩვენა, რომ სადისერტაციო კვლევის ამოცანების გადაჭრისთვის არსებობს სამეცნიერო ფონი.

ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები ჩაატარეს

ქართველმა მეცნიერებმა, პროფესორებმა: ვ. აბულაძე (სასტუმრო ინდუსტრიის სფერო); ბ. ბარკალაია (ეკოტურიზმის სფერო); ნ. თოდუა, ლ. დოლიკაშვილი (ტურიზმის მარკეტინგის სფერო); გ. შუბლაძე (ტურიზმის მენეჯმენტის სფერო); ნ. კვარაცხელია (კულტურული ტურიზმის სფერო); მ. მეტრეველი, პ. ჩაგანავა (ტურიზმის პოლიტიკა); ვ. არაბული, ნ. ნადარეიშვილი, მ. ვასაძე და სხვები.

ეკონომიკის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები ასახულია მეცნიერთა ნაშრომებში: რ. ოთინაშვილი, რ. ასათიანი, თ. მალლაკელიძე, ზ. თეთრუაშვილი, ი. მესხია, ა. სილაგაძე, ნ. ჭითანავა. ეკონომიკური უსაფრთხოების სხვა აქტუალური პრობლემების გვერდით ცალკე ადგილ ეთმობა ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის კონცეპტუალურ საკითხებს ლ. ი. აბალკინის, ლ. პ. ძლიევის, ა. ვ. ილარიონოვის ნაშრომებში.

ტურიზმის სფეროს ეკონომიკისა და მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები დამუშავებული აქვთ მეცნიერებს: ვ. შუბლაძე, ა. დევიძე, მ. ბ. ბირუაკოვი, ვ. ი. აზარი, გ. ა. კარპოვი, გ. ა. პაპირიანი. მ. მეტრეველი.

მეცნიერები, რომლებიც მუშაობდნენ ტურიზმის სფეროში, არსებული რისკებისა და უსაფრთხოების პრობლემებზე: მ. ბ. ბირუაკოვი, ი. თ. ვოლკოვი; ნ. ი. გარინინი, ნ. პ. კოზაკოვი, ა. ბ. კოსოლაპოვი, მ. მ. მარინინი, ე. ლ. პისარეესკი.

საგულისხმოა, ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგობრივი კომპლექსი, როგორცაა ტურიზმი, ტურისტული სანარმოები და ობიექტები, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ არ არის საკმარისად გამოკვლეული, რაც რა თქმა უნდა, ვერ იძლევა საშუალებას კონსტრუქციულად და დროულად გადაიჭრას ამ სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემები.

საქართველოში, ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით, ტურისტული საქმიანობის წარმართვა საჭიროებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცნიერულ

კვლევებს.

კვლევის მიზანი: ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებისა და მიდგომების საფუძველზე ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ასევე ცალკეული დესტინაციებისა და ტურისტული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ეფექტიანი კონცეფციის შემუშავება.

ამოცანები: 1. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე უსაფრთხოების პრობლემების გამოვლენა და ამ სფეროს როლის განსაზღვრა სახელმწიფოს განვითარებისთვის;

2. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და ცალკეული რეგიონების განვითარების სტრატეგიაში;

3. ტურისტული ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობის განსაზღვრა საქართველოსთვის;

4. ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივებისა და მომგებიანობის მიმოხილვა მიმღები დესტინაციების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

5. დესტინაციებში ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირების მეთოდური მიდგომების დამუშავება;

6. რისკების მართვა ტურისტული საწარმოებისა და ტურისტული ობიექტების ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გადასაწყვეტად;

7. უსაფრთხოების სისტემის პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზი ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით;

8. ტურიზმის უსაფრთხოება, როგორც ტურისტული საქმიანობის აქტუალური ამოცანა, გულისხმობს:

✓ ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა (ტურისტების) უსაფრთხოებას;

✓ ტურისტული პროდუქტის მწარმოებელთა უსაფრთხოებას;

კვლევის ობიექტი: ტურისტული დესტინაციები და ტურისტული საწარმოები.

კვლევის საგანი: ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს ტერიტორიის ინდუსტრიაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. მოცემული კვლევების საფუძველს წარმოადგენს უცხოელ და ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც ასახულია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები, ტერიტორიის სფეროს მართვის პრობლემები, ტერიტორიის მდგრადი განვითარების ამოცანები, ასევე, კვლევები რისკების მართვის სფეროში.

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის ისეთი ზოგადსამეცნიერო მეთოდები, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების მეთოდები, ლოგიკური და მათემატიკური მოდელირების მეთოდები, ექსპერტული შეფასებები, სისტემური მიდგომის პრინციპები.

საინფორმაციო ბაზა. კვლევის საინფორმაციო ბაზის სახით გამოყენებულია საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი დოკუმენტი (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020. საქართველოს ტერიტორიის განვითარების სტრატეგია 2015-2025 წ.წ.), სტატისტიკური მონაცემები და მასალები საქსტატიდან, საქტურიზმის დეპარტამენტიდან, საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციებიდან. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენენ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მონოგრაფიებისა და სტატიების მასალები, სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები, რომლებიც გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში და სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებში, აგრეთვე, ინტერნეტ-რესურსების მონაცემები.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები:

- ნაშრომში თეორიული კუთხით დეტალურადაა განხილული ტერიტორიის

ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალური ასპექტები.

- **შემუშავებულია** რეკომენდაციები, რომ ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ეროვნული ეკონომიკის ეს დარგი იყოს განხილული უსაფრთხოების კუთხით, რაც განაპირობებს ტურისტთა რაოდენობისა და მათგან მიღებული შემოსავლების ზრდას.

- ტურისტული დარგის პრობლემებთან მიმართებაში „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების თეორიული დასაბუთებისას **განხილულია** უსაფრთხოების სახეები, მათ შორის ფინანსური, ეკოლოგიური, ინფორმაციული უსაფრთხოება.

- ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების შესწავლისას **აუცილებელია** გამოიკვეთოს ეკონომიკური ზრდის ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალურ დოვლათსა და სოციალურ სიკეთეს.

- **შემუშავებულია** ტურისტული დესტინაციების მდგრადი განვითარების სტრატეგია პარტნიორობის პრინციპზე დაყრდნობით. (მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩარჩოებში სტრატეგიის დაგეგმვაში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებამ).

- ტურისტის პირადი და ტურში შემავალი ყველა სახის მომსახურებისათვის, უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით, **განსაზღვრულია**, ტურიზმის განვითარებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც მოიცავს შესაძლო საფრთხეების გამოვლენას, პრევენციას და ტურისტული რისკების მინიმუმამდე შემცირებას.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება: შესავლის, სამი თავის, თერთმეტი ქვეთავის, დასკვნითი ნაწილისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალისაგან. ძირითადი მოცულობაა 165 კომპიუტერზე ნაბეჭდი გვერდი. ბიბლიოგრაფია შედგება 32 დასახელებისაგან. ნაშრომის სტრუქტურას აქვს

შემდეგი სახე:

შესავალი

თავი I. ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

- 1.1. ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი
- 1.2. უცხო ქვეყნების გამოცდილება ტურიზმის უსაფრთხოებაში
- 1.3. ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციები და სარეკომენდაციო აქტები
- 1.4. საქართველოში ტურიზმის საკანონმდებლო რეგულირება

თავი II. ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები

(საფრთხეები მოგზაურობისას)

- 2.1. მსოფლიო ტურიზმის რეგიონული განვითარების სტატისტიკური მიმოხილვა
- 2.2. ტურიზმის ორგანიზაციის რისკები და ამოცანები
- 2.2. მსოფლიო კრიზისები და მათი ეკონომიკური შედეგების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე

თავი III. საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულებები

- 3.1. საქართველოს ეკონომიკა და ტურიზმი
- 3.2. საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალური საკითხები
- 3.3. ტურიზმი და ინვესტიციები
დასკვნა
გამოყენებული ლიტერატურა

შედეგები და მათი განსჯა

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში „ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები“ განხილულია: 1.1 ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი; 1.2 უცხო ქვეყნების გამოცდილება ტურიზმის უსაფრთხოებაში; 1.3 ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზა-

ციები და სარეკომენდაციო აქტები; 1.4 საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო რეგულირება;

მეოცე საუკუნის ბოლოს, სისტემაში - „საზოგადოება-ბუნებრივი გარემო“, მოხდა გარდატეხა და ბუნებათმოსარგებლეთა ორიენტაცია შეცვალა საქმიანობის ისეთმა სფერომ, რომელიც არ უკავშირდება ბუნებრივი რესურსების მოპოვებას და გადამუშავებას. ერთ-ერთ ასეთ სფეროს წარმოადგენს ტურიზმი. ამ საქმიანობის განხორციელება ნიშნავს, რომ ბუნებრივი გარემოს გამოყენების სტრატეგია ეფუძნება ბუნებისა და საზოგადოების მონესრიგებულ ურთიერთობებს და ლანდშაფტზე ნებისმიერი მიზანმიმართული ზემოქმედების შედეგების პროგნოზირებას.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ტურიზმს განიხილავს, როგორც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. იგი განიხილება, როგორც დიდი ეკონომიკური სისტემა ცალკეული ქვეყნების სახალხო მეურნეობის ელემენტებს შორის მრავალფეროვანი კავშირებით, ასევე, ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირით.

ტურიზმის განვითარებამ, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, აუცილებელი გახადა განისაზღვროს ტურიზმის ცნება, მისი როლი მსოფლიო და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში, გამოვლინდეს ტურიზმის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები. ეკონომიკურ მეცნიერებაში გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „ტურიზმი“, „ტურიზმის ინდუსტრია“, „საერთაშორისო ტურიზმი“, „მსოფლიო ტურიზმი“, „ტურისტული ბაზრის აგენტები“ და ა. შ. ამ კატეგორიათა განსაზღვრება ხშირად იდენტურია, რამეთუ განსხვავება მდგომარეობს ცალკეული ქვეყნების ტურიზმის სპეციფიკაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურისტული ტერმინების სწორი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვანია ტურიზმში მიმდინარე პროცესების გარკვევისათვის.

უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც საშიშროების არარსებობა, შენარჩუნება, საიმედოობა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანების უსაფრ-

თხო მდგომარეობა ნიშნავს დაცულობას, ხელშეუხლებლობას, დამოუკიდებლობას. *უსაფრთხოება* არის ობიექტის მდგომარეობა, როდესაც მასზე ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებისას ობიექტი აგრძელებს ნორმალურ ფუნქციონირებას ან წარმატებით უწევს წინააღმდეგობას მსგავს ზემოქმედებას.

უსაფრთხოების სოციალური არსი მთლიანად შეიძლება გამოიხატოს როგორც მინიმუმ სამ ასპექტში: ა) პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს, გარემოს შიდა და გარე საფრთხეებისაგან დაცულობის დინამიური მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს მათ საიმედო არსებობას და მდგრად განვითარებას; ბ) უსაფრთხოების ობიექტების თვისება, თავისი ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში, არ მიაყენონ ზიანი და არ შეუქმნან საფრთხე გარე სამყაროს სხვა ობიექტებს. გ) ადამიანის საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ. ასევე, იმ პირების ზარალის ანაზღაურება, რომლებიც დაზარალდნენ მიღებული საფრთხეებისაგან.

ტურიზმის უსაფრთხოება არის მრავალასპექტიანი მოვლენა და წარმოადგენს „უსაფრთხოების“ ცნების ერთ-ერთ სახეობას. იგი მოიცავს სამართლებრივ, ორგანიზაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ზომებს, რომლებიც მოქალაქეთა პირადი უსაფრთხოებისკენაა მიმართული და იცავს მათ რისკის ფაქტორების ზემოქმედებისაგან. ობიექტის დანართის მიხედვით ტურიზმის უსაფრთხოება კლასიფიცირდება ორ ჯგუფად: ტურისტებისა და ექსკურსანტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში საფრთხეები; ტურიზმის საქმიანობის სფეროში არსებული საფრთხეები.

ტურისტებისა და ექსკურსანტების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიში საფრთხეები წარმოიქმნება ისეთ პირობებში, სადაც არსებობს საფრთხის წყარო. ტურიზმის სფეროს საქმიანობაზე მოქმედი რისკები და საფრთხეები კი არის სამი სახის:

1. ფინანსური (საკრედიტო, ფასის, სავალუტო კურსის ცვლილების რის-

კი, საბაზრო რისკი, ინფლაციის რისკი, გადახდისუუნარობის რისკი);

2. ფუნქციონალური (სტრატეგიული, ოპერაციული, ახალი ტურისტული მომსახურებისა და ტექნოლოგიების დანერგვის რისკი);

3. სხვადასხვა (შეუთავსებლობის, რეპუტაციის დაკარგვის რისკი).

ისეთი რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის, როგორც ტურიზმი, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა ნიშნავს მის მდგრად განვითარებას. ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს მის დაგეგმვას და მართვას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება. უსაფრთხოების პრობლემების თეორიული მასალების ანალიზის საფუძველზე, საჭიროა, მეტი ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს. მათ შორის, საქართველოში ტურისტული სფეროს განვითარებისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

უცხო ქვეყნების გამოცდილება ტურიზმის უსაფრთხოებაში. ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ტურიზმის სფეროში არსებული რისკების და კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო მართვის სისტემების განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ტურიზმის პოლიტიკაში კანონმდებლობისა და ნორმატივების დაცვით.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა მიდგომა, როგორც ტურიზმის უსაფრთხოების გაგებისადმი, ასევე, მისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ფორმებისა და მეთოდებისადმი: თუ კანონმდებლობით, მოლდოვაში, ტურიზმის უსაფრთხოების განსაზღვრებისას საუბარია უშუალოდ ტურისტების პირად უსაფრთხოებაზე, ბელორუსში, უკრაინასა და

ყაზახეთში კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მარტო მათ ჰირად უსაფრთხოებას, არამედ ხალხის და სახელმწიფო უსაფრთხოების ელემენტებს და გარემოს დაცვას.

ქვეყნებში, რომლებიც წარმოადგენენ ანგლოსაქსურ უფლებრივ ოჯახს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სტრატეგიული სახელმწიფოებრივი დოკუმენტების მომზადებას. სტრატეგია მიმართულია ტურიზმის სფეროში უსაფრთხოების პროფილაქტიკისა და პრევენციისაკენ. მაგალითად, ავსტრალიაში არსებობს ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთიანი ეროვნული გეგმა, რომელიც მიმართულია ავსტრალიის ტურიზმის ეროვნული და რეგიონული მმართველობითი ორგანოების კოორდინებული საქმიანობისკენ ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გეგმის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის დონის შეფასება, მასზე რეაგირებისთვის საჭირო წინადადებების შემუშავება, აგრეთვე, ტურიზმის სფეროში დაკავებულთა მოქმედების კოორდინირება.

სასურველია, საქართველოში შესაბამისმა ორგანიზაციებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ გამოცდილება, თუ როგორ ხდება უცხო ქვეყნებში აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილების რეალიზაცია მოქალაქეების ინფორმირებულობაზე საზღვარგარეთ მოსალოდნელ საფრთხეებზე.

ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციები და სარეკომენდაციო აქტები - ტურისტული საქმიანობის გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა დარგის განვითარების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. მსოფლიო მასშტაბით ტურისტულ ინდუსტრიას საერთო მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას უწევს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია. იგი განსაზღვრავს დარგის განვითარების ძირითად ტენდენციებს და იძლევა სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. ტურიზმის საერთაშორისო დონეზე რეგულირება ხდება კონვენცი-

ების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების დონეზე კი - რეგიონებისა და ქვეყნების შესაბამისი კანონებითა და საკანონმდებლო აქტებით.

„ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“, რომელიც მიღებული იქნა 1999 წელს ჩილეში, აყალიბებს მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს. გლობალური ეთიკური კოდექსის იმპლემენტაცია (შესრულება), სავალდებულოა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 157 წევრი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ეს დოკუმენტი აყალიბებს მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს.

საქართველოს ტურიზმის სექტორის ძირითადი სამართლებრივი ბაზა შედგება შემდეგი კანონებისგან: „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (1997 წ.), „საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ (1997 წ.).

დისერტაციის მეორე თავი: **ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები (საფრთხეები მოგზაურობისას)** მოიცავს: მსოფლიო ტურიზმის რეგიონული განვითარების სტატისტიკური მიმოხილვა; ტურიზმის ორგანიზაციის რისკები და პრობლემები; მსოფლიო კრიზისები და მათი ეკონომიკური შედეგების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე.

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე კონკრეტულად გამოიხატება შემდეგ მაჩვენებლებში: შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რაოდენობა; ერთი ტურისტის მიერ განეული ხარჯები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილ საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში; ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადასხდელი ბალანსში; ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები; ტურიზმის განვითარებით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა.

ტურიზმის ორგანიზაციის რისკები და პრობლემები - ტურისტულ ბიზნესში რისკების დეტალური ანალიზი საჭიროებს რისკების კლასიფიკაციას.

კლასიფიცირება ხდება ორი მიმართულებით: *რისკები*, რომლებიც თან ახლავს ტურისტებს, როგორც ტურისტული მომსახურების მომხმარებლებს; *რისკები*, რომლებიც თან ახლავს ტურისტული კომპანიების საქმიანობას, გაართობის და კვების სანარმოებს, რომლებიც აწარმოებენ მოცემულ ტურისტულ მომსახურებებს.

ტურისტულ ორგანიზაციებში ფინანსური რისკების შეფასების მეთოდები ასახავენ მოქმედი სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობას. ყველა მეთოდის კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა თითოეული რისკის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდეს. რისკის გარეშე ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მუდმივად ჩატარდეს ორგანიზაციაში მონიტორინგი და ქვეყნის სამინაო და საგარეო ბაზარზე შექმნილი სიტუაციების კონტროლი. ასევე, სუბიექტის საქმიანობაზე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისას, ყველა ორგანიზაციაში უნდა დაინერგოს რისკ-მენეჯმენტის სისტემა, რადგან ტურისტული რისკები გავლენას ახდენენ არამართო ტურიზმის ინდუსტრიაზე, არამედ შერეულ სფეროებზე, ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, თავად ტურისტებზე. ფინანსური რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიურ სფეროს, რომელიც მიმართულია რისკების შეფასებისა და ანალიზის სისტემატიზაციისაკენ, მათ იდენტიფიკაციისაკენ, ორიენტირებულია მათი მინიმიზაციაზე, შესაბამისი ზომების მიღებაზე და მიღებული შედეგების კონტროლზე.

ტურისტულ სანარმოებსა და ორგანიზაციებზე ნეგატიურად მოქმედი მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინება და არასასურველი სარისკო სიტუაციების თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ კვალიფიციურ რისკ-მენეჯერს, რომელიც მუდმივად ატარებს ამ სფეროს მონიტორინგს.

მსოფლიო კრიზისები და მათი ეკონომიკური შედეგების გავლენა ტურიზმის უსაფრთხოებაზე - ტურიზმი ძალიან მგრძობიარეა ისეთი კრიზისების მიმართ, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური თუ ტერორიზმი. ტურისტი არის ადვილი სამიზნე, რადგან მოგზაურობისას ნაკლებად არის

დაცული. ტერორისტები თავს ესხმიან ტურისტებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო ბიზნესის წარმოებაში ნეგატიური შედეგებისა და რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად, სახელმწიფოები ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს. ეს ეხება საერთაშორისო ტურიზმსაც. რისკებიდან - ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა, ყველაზე რთულია პოლიტიკური რისკების მართვა, რადგან რთულია მათი პროგნოზირება, მასშტაბებისა და შედეგების განჭვრეტა.

ტერორიზმთან ბრძოლა არის ძალიან რთული და ეს ხშირად შეუძლებელია. (არსებითად, ეს არის დანაშაული.) მთავარი პრობლემა აქ არის რესურსების ნაკლებობა, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური, რომლებიც აუცილებელია ტერორისტული ჯგუფების ფუნქციონირებისას მათზე მონიტორინგის განსახორციელებლად. ფინანსური რესურსები საჭიროა, აგრეთვე, ტერორიზმის აღსაკვეთი ზომების განსახორციელებლად.

დისერტაციის მესამე თავში **საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულებები** პირველ ქვეთავში **საქართველოს ეკონომიკა და ტურიზმი** საუბარია, რომ ტურისტული სიმძლავრეების გაფართოება შესაძლებელია იქ, სადაც ნებისმიერი პროექტი ერთვება ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმაში. ამგვარი მიდგომა ნიშნავს საპროექტო აზროვნების შეცვლას კონცეპტუალური აზროვნებით. იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს რაიონს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს მზოგავი.

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის წილი რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ბოლო 10 წლიან პერიოდში ტურიზმის მოცულობა საქართველოს ეკონომიკაში შეადგენს 6,1%-ს. ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში უცხოელი ვიზიტორების ხარჯი 79,5%-ია, ხოლო შიდა ტურისტების 20,5%.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისათვის, მისი

საგარეო ავტორიტეტისათვის, ტურიზმის განვითარება ცალსახად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის მსურველთათვის, აუცილებელია, მათი დასვენებისათვის საჭირო პირობების დაკმაყოფილება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოში ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის, კრიტერიუმები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ა) ტურიზმის როლი ქვეყნის შემოსავლების ზრდაში; ბ) მოსახლეობის დასაქმება; გ) ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების სტიმულირება ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორულ-აქსელერატორული (დამაჩქარებელი) ეფექტით.

საქართველოში ტურიზმის პრიორიტეტულობის კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ამ დარგის განვითარებისათვის საკმარისი პოტენციალი არსებობს.

ტურისტული დარგის პრობლემებთან მიმართებაში „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების თეორიული დასაბუთებისას განვიხილავთ უსაფრთხოების სახეებს და მათ შორის ფინანსურ, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი შემადგენელი არის **ფინანსური უსაფრთხოება**, რადგან ფინანსებში ხდება ნებისმიერი ეკონომიკის ბაზირება.

ფინანსური უსაფრთხოების უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები: წარმოების ვარდნა, სანარმოების გაკოტრება, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სისტემების (ან მექანიზმების) ჩამოშლა და შემდეგ სუვერენიტეტის დაკარგვა.

შემომყვან ტურიზმზე ლარის კურსის ცვლილება დადებით გავლენას ახდენს. ტურიზმის სფერო ადგილობრივი ვალუტის დევალვაციის ერთ-ერთი ბენეფიციარია, რომელიც იღებს სარგებელს. ვალუტის კურსის გაუფასურებისას აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შემომყვანი ტურიზმის გაზრდა. შემომყვანი ტურიზმისგან განსხვავებით, გამყვანი ტურისტული კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს ვალუტის გაუფასურება.

ლარის ბოლოდროინდელ დევალვაცია დაკავშირებულია არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ქვეყნიდან დიდი მასშტაბებით კაპიტალის გადინებასთან. ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს ლარის კურსის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის ინფლაცია საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში, რადგან ლარის მეტი მასა შედის ბრუნვაში. ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს ეროვნული პროდუქტი, რაც თავისთავად გულისხმობს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას და წინ წამოწევას.

ეკოლოგიური უსაფრთხოება არის მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებას. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

ტურისტული რეკრეაციული კვლევების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური პირობების შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენენ რეკრეანტების ჯანმრთელობასა და დასვენებაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს გარემოზე ანთროპოგენური შედეგების გავლენა, რომლებიც რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის ორგანიზებისას ვლინდება. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა არის გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის მთელი სისტემა, რომელიც წარმოიქმნება საზოგადოების რეკრეაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების ათვისების, გამოყენების, გარდაქმნისა და წარმოების შემთხვევაში.

მთავარი პრობლემა ჩვენი ქვეყნისათვის არის ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის ამოცანების ოპტიმალური შეხამება, ისე რომ არც ერთი მხარე - არც ეკონომიკური განვითარება და არც გარემოს დაცვა არ დაზიანდეს. მიღწეულ იქნეს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება მოსახლეობის

საკეთილდღეოდ.

ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შემუშავდეს ეროვნული ეკოლოგიური პროგრამა, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო - ნორმატიული აქტების სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს აგრეთვე ამ სისტემის კონტროლის მექანიზმს.

ჩვეულებრივ, ტურისტულ პროექტებზე მუშაობის დაწყებამდე უნდა მომზადდეს ტურიზმის სტრატეგიული გეგმა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სექტორულ სტრუქტურებთან, ადგილობრივ ტურისტულ და ბიზნეს ოპერატორებთან, არასამთავრობო ორგანიზებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა მოხდეს მისი მიღება. გეგმა უნდა შეიცავდეს, არსებული და პოტენციური ტურისტული მიმზიდველობების ინვენტარიზაციას; უნდა ადგენდეს, რისი გაკეთებაა საჭირო ტურისტული შესაძლებლობების გასაფართოებლად; ასევე უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს მარკეტინგის და ადგილის მიმზიდველობის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სამიზნე ქვეყნების ნათელი სურათი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას პოტენციური ვიზიტორების და მათი სურვილების შესახებ. ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და უნდა მომზადდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე.

საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ პირველი თავის მეორე მუხლში განმარტავს: ინფორმაციული უსაფრთხოება არის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას.

ქვეყანაში არის, როგორც ტურიზმის სფეროს მთლიანად, ასევე ცალკე-

ული დესტინაციების უსაფრთხოების პრობლემები. მიზანშეწონილია რისკებისა და საფრთხეების კლასიფიკაცია, რათა შეიქმნას პრევენციული ღონისძიებების სისტემა, ასევე, მიზანშეწონილია ინფორმაციის ანალიზი საფრთხის სავარაუდო წარმოქმნაზე და მათ შესახებ გიდებისა და ტურისტების ინფორმირება.

წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული ტურიზმის სფეროში შესრულებულ დაგეგმვის და მონიტორინგის სამუშაოებში გეოინფორმაციული სისტემების დანერგვა და გამოყენება. საქართველოს რეგიონებისათვის ტურიზმის პერსპექტიული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესებში გეოინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა გახდნენ ქვეყნის ერთიანი ტურისტულ - რეკრეაციული სისტემის შექმნის ფუნდამენტალური საფუძველი.

ამრიგად, დღევანდელ ეტაპზე აქტიურად ვითარდება გეოინფორმაციული მომსახურების ბაზარი. საჭირო ხდება ნაციონალური გეოინფორმაციული სისტემების შექმნა რეგიონალური გის-ების საფუძველზე და მათი ინტეგრაცია მსოფლიოს ტურისტულ გეოსაინფორმაციო სისტემაში. რეგიონალური გის უნდა შეიცავდეს ტურისტულ გეოინფორმაციულ რუქაზე დატანილ საინტერესო ტურისტულ ობიექტებს შესაბამისი გეოინფორმაციული მონაცემებით, აგრეთვე ვიზუალურ და ტექსტურ ინფორმაციას.

ტურიზმზე ორიენტირებული გეოინფორმაციული სისტემის შექმნა საშუალებას იძლევა გაკეთდეს სივრცითი მოთხოვნები და ჩატარდეს ანალიზი იმისათვის, რომ გამოვავლინოთ ამა თუ იმ ტურისტული ღონისძიების ჩატარებისათვის ყველაზე უფრო მისაღები ადგილი, გამოვლინდეს კავშირი სხვადასხვა მახასიათებელ პარამეტრებს შორის. რუქაზე განთავსებული ინფორმაცია კურორტების, მათი განლაგების, მისასვლელი გზების, მომსახურების ხარისხის, მოსასვენებელი ნომრების ფოტოების, პლიაჟების, ადგილობრივი ორიგინალური კერძების და სხვა ტურისტული სერვისების შესახებ ტურისტულ ფირმებს, რომლებიც ისარგებლებენ ასეთი გეოინფორმაციული რუქებით,

თავიანთ საქმიანობაში მისცემს მნიშვნელოვან უპირატესობებს.

ტურიზმი და ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის, ასევე მისი სხვადასხვა სექტორის ფუნქციონირების, დინამიური განვითარებისა და მდგრადობის შენარჩუნებაში. ინვესტიციები ტურიზმში - ეს არის კაპიტალის მეშვეობით ახალი ტურისტული ობიექტების შექმნის პროცესი, აგრეთვე უკვე არსებული ისეთი ობიექტების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ ტურისტული პროდუქტი. ინვესტიციები უზრუნველყოფენ ახალი ტურისტული ობიექტების შექმნის იდეების მატერიალიზაციას. ახალი ტურისტული ობიექტების შექმნით კი უნდა გაიზარდოს ტურისტული მომსახურება და გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი. თუ ტურიზმში საინვესტიციო პროცესის მონაწილეთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა, მისი ინვესტირება ერთნაირად მომგებიანი გახდება ორივე მხარისთვის, როგორც ბიზნესის მონაწილეებისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც. ტურიზმის განვითარების საინვესტიციო პოლიტიკა პირველ რიგში ეფუძნება მიმზიდველი საინფორმაციო გარემოს შექმნას და ტურისტული სანარმოს საქმიანობის ეფექტიანი მიმართულებით განვითარებას.

ამჟამად ყურადღებას იქცევს ტურიზმში საინვესტიციო საქმიანობის შეფასების ისეთი ასპექტი, როგორცაა სასტუმროთა ბიზნესი. ტურიზმის სამენარმეო საქმიანობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებს და კონტინენტებს, ჭირდება გონივრული, პროფესიული და ეფექტური საინვესტიციო მენეჯმენტი. სასტუმროების ბიზნესი საკმაოდ მაღალშემოსავლიანია, სანცის ეტაპზე ის საკმაოდ რენტაბელურია, აგრეთვე ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას. რაც უფრო დიდია სასტუმრო, შესაბამისად მეტია მისგან მიღებული შემოსავალი. დახარჯული თანხა და მიღებული მოგება ერთმანეთს შეეფარდებიან და პესიმისტური გათვლების შემთხვევაშიც კი 12-13%-იან მოგებაზე საუბარი შესაძლებელია.

საქართველოში პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს

მხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში და გარკვეული შეღავათების დაწესებაში, იმისათვის რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ააღორძინებს მათ და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი საკმაოდ დიდია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა ამ პოტენციალის სწორად გამოყენება. განათლებით, მენეჯმენტით, სწორი გადაწყვეტილებების მიღებითა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვით შესაძლებელია ისეთი სარგებლის მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ტურიზმის სექტორი გავხადოთ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მონინავე დარგი.

ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხებისა და განხორციელებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

ტურიზმი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. იგი ტურისტული რესურსების, ბუნებრივი რივი და კულტურული მემკვიდრეობის რაციონალურად გამოყენების გზით ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ტურიზმის განვითარება გულისხმობს დასაქმების ზრდას, კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერას, სიღარიბის დაძლევას, ტურიზმის მულტიპლიკატორული ეფექტის მიღებას (მომიჭნავე დარგების განვითარებით) და საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთკავშირს.

უსაფრთხოების პრობლემების თეორიული მასალების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არასაკმარისად არის დამუშავებული ცალკეული ეკონომიკური დარგების და მათ შორის ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები.

ისეთი რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის, როგორც ტურიზმია, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის გადანყვეტა ნიშნავს მის მდგრად განვითარებას. ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს მის დაგეგმვას და მართვას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელიც არის უსაფრთხოების სფეროში ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტი, არ არის დეტალურად დამუშავებული ეკონომიკის დარგების უსაფრთხოების საკითხები.

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ითვალისწინებს დარგების სტრატეგიულ პრიორიტეტებს, მიზანშეწონილია შესაძლო ეკონომიკური ხასიათის საფრთხეებისთვის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

ტურიზმის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისი როლი ეროვნულ ეკონომიკაში, ხოლო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისას ეს დარგი აუცილებლად უნდა იყოს განხილული ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით.

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების კონცეფციებს, რომ გაიზარდოს ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკაში ყველა სფეროს ინტერესების გათვალისწინებით. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთავრობის მიერ ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს მისი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული ასპექტები.

აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოში ტურისტული სფეროს განვითარებისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება.

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხარდასაჭე-

რი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ტურისტული ცენტრების საქმიანობის რეგულირების ეფექტიანი მეთოდებისა და სტრუქტურების ფორმირებას, ტურისტული საქმიანობის უსაფრთხოების საკითხების ჩათვლით.

ტურისტული დარგის პრობლემებთან მიმართებაში „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების თეორიული დასაბუთებისას განვიხილეთ უსაფრთხოების სახეები და მათ შორის ფინანსური, ეკოლოგიური, ინფორმაციული უსაფრთხოება.

ეკონომიკურ მეცნიერებას არ გააჩნია კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომა თანამედროვე პირობებში ტურიზმის სფეროს უსაფრთხო განვითარებისათვის. საქმიანობის ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით ტურიზმის უსაფრთხოება არ არის განხილული, როგორც კომპლექსური სოციო-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც საფრთხეს, ასევე ეკონომიკური ზრდის ფაქტორს მიმღები დესტინაციისთვის.

მდგრადი სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კომპრომისი მოსახლეობას, გარემოსა და სახელმწიფოს შორის. საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელი პირობების შესაქმნელად, საჭიროა, გააქტიურდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლის განხორციელებაში მთავრობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შემუშავდეს ეროვნული ეკოლოგიური პროგრამა, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო - ნორმატიული აქტების სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს, აგრეთვე, ამ სისტემის კონტროლის მექანიზმს.

ზედმინვნით უნდა იქნეს შეწავლილი ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. უნდა მომზადდეს შემამსუბუქებე-

ლი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე.

რაციონალური რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის (ლანდშაფტის ზოგიერთ სახეობაზე რეკრეაციული დატვირთვის ნორმირება) მეცნიერულ კონცეფციასთან ერთად აუცილებელია ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის წინა პლანზე წამოწევა.

აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და გარემოს დაცვის ამოცანების ოპტიმალური შესამება, ისე რომ მიღწეულ იქნეს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

მიზანშეწონილია, ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, სადაც შევლენ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, ტურიზმის ინდუსტრიის, ეკოლოგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელი პირობების შესაქმნელად, საჭიროა, გააქტიურდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლის განხორციელებაში მთავრობამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

დარგის განვითარების პროცესში რისკების მინიმუმდე დაყვანა ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მხოშვნელოვანი ფაქტორია. საფრთხეებმა და რისკებმა შესაძლოა მოახდინონ დესტინაციებში ტურისტული აქტივობებისა და ეკონომიკური შედეგების არსებითი გაუარესება.

აუცილებელია, ტურიზმის ყველა სახეობისათვის რისკებისა და საფრთხეების კლასიფიკაცია, რათა შეიქმნას პრევენციული ღონისძიებების სისტემა; ინფორმაციის ანალიზი საფრთხის სავარაუდო წარმოქმნაზე; სავარაუდო საფრთხეების შემთხვევაში გიდებისა და ტურისტების ინფორმირება.

ტურისტულ საქმიანობაში რისკებისა და საფრთხეების სუსტი პროგნოზირების გამო, საქართველოში ტურიზმის განვითარების პროცესისათვის პირველხარისხოვანია ტურიზმის უსაფრთხოების საკითხების კვლევა.

პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა მოგვცემს საშუალებას არსებითად გაზზარდოთ ტურისტული დესტინაციების მიმზიდველობა, ტურისტთა რაოდენობა და ამ დარგის შემოსავლის წილი ქვეყნის ბიუჯეტში.

აუცილებელია, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიღება, გაზზარება და დამუშავება ტურისტული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით უსაფრთხოების პრაქტიკული უზრუნველყოფისათვის. საჭიროა, ეს გამოცდილება იქნეს გაანალიზებული და გამოყენებული ტურისტული სანარმოებისა და ობიექტების, ტურში შემავალი ყველა სახის მომსახურების უსაფრთხოების სტანდარტების შესამუშავებლად.

ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს ლარის კურსის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის ინფლაცია საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში, რადგან ლარის მეტი მასა შედის ბრუნვაში.

ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს ეროვნული პროდუქტი, რაც თავისთავად მოითხოვს საქართველოს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით იმპორტ-ჩანაცვლების პოლიტიკის სწორად განხორციელებას.

საქართველოს ეკონომიკისათვის ტურიზმის, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის როლის ადექვატური შეფასებისათვის საჭიროა ინფორმაციული უზრუნველყოფა და ტურიზმის სტატისტიკის სრულყოფა.

საქართველოს რეგიონებისათვის ტურიზმის პერსპექტიული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესში გეოინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა გახდნენ ქვეყნის ერთიანი ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის შექმნის ფუნდამენტალური საფუძველი.

საჭიროა ნაციონალური გეოინფორმაციული სისტემების შექმნა რეგიონალური გის-ების საფუძველზე და მათი ინტეგრაცია მსოფლიოს

ტურისტულ გეოინფორმაციულ სისტემაში. რეგიონალური გის უნდა შეიცავდეს ტურისტულ გეოინფორმაციულ რუქაზე დატანილ საინტერესო ტურისტულ ობიექტებს შესაბამისი გეოინფორმაციული მონაცემებით, აგრეთვე ვიზუალურ და ტექსტურ ინფორმაციას.

რუქაზე განთავსებული ინფორმაცია კურორტების, მათი განლაგების, მისასვლელი გზების, მომსახურების ხარისხის, მოსასვენებელი ნომრების ფოტოების, პლიაჟების, ადგილობრივი ორიგინალური კერძების და სხვა ტურისტული სერვისების შესახებ ტურისტულ ფირმებს, რომლებიც ისარგებლებენ ასეთი გეოინფორმაციული რუქებით, თავიანთ საქმიანობაში მისცემს მნიშვნელოვან უპირატესობებს.

ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრები, გიდები, რუკები და ინფორმაციის სხვა წყაროები არის პირველი ნაბიჯები ტურისტების პოტენციური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ქვეყანაში ტურისტთა უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა და წარმომადგენლებმა დესტინაციებში შეიტანონ უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სიმბოლიკისა და მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები.

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მონიტორინგი, ანალიზი და რისკების (საფრთხეების) პროგნოზირება. ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგი გულისხმობს ორგანიზებულ სისტემურ დაკვირვებას სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათზე, რომლებიც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციასთან. ის არის სისტემის საწყისი რგოლი: მონიტორინგი > ანალიზი და დიაგნოსტიკა > კორექტირება > საწარმოს უსაფრთხოების სასურველი მდგომარეობა.

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია: შიდა და შემომავალი ტურიზმის განვითარება; სეზონური

მოთხოვნის შემცირება; ტურისტული მომსახურების წარმოების პროცესში ადგილობრივი წარმოების საქონლის გამოყენება; ტურიზმის მდგრადი განვითარება; ტურში შემავალი ყველა მომსახურების უსაფრთხოება და ტურისტების პირადი უსაფრთხოების სტანდარტების დამუშავება.

ტურიზმის უსაფრთხოების სისტემის განვითარების პრინციპულ მიმართულებას წარმოადგენს, ტურში შემავალი ყველა სახის მომსახურების და ტურისტების პირადი უსაფრთხოების სტანდარტების განხილვა-დამუშავება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, მოსახლეობისა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება ტურისტების მხრიდან შესაძლო კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გათვალისწინებით. აგრეთვე, მატერიალური, სულიერი და კულტურული ფასეულობების დაცვა ტურისტულ დესტინაციებში.

დარგის საქმიანობის საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს ფუნდამენტს სტაბილური შიდა და გარე პირობების უზრუნველყოფის პროცესებში, რაც საწარმოებს და სხვა სტრუქტურებს აძლევს ფუნქციონირების შესაძლებლობას.

მთავარი პრობლემა არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის ამოცანების ოპტიმალური შეხამება, ისე რომ არცერთი მხარე - არც ეკონომიკური განვითარება და არც გარემოს დაცვა არ დაზიანდეს. მიღწეულ იქნეს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით მომზადდა: სამი კოლოქვიუმი:

1. „საერთაშორისო ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვა“. 18. 02. 15
2. „უცხო სახელმწიფოთა გამოცდილება ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში“. 30. 06. 15
3. „ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები (საფრთხეები მოგზაურობისას)“. 17. 02. 16

კონფერენციები:

1. მოხსენება: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები“. სტუ, II საერთაშორისო კონფერენცია. თბ. 2014
2. მოხსენება: „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად-საკრედიტო მექანიზმი“ სტუ, III საერთაშორისო კონფერენცია. თბ. 2015
3. მოხსენება: „გლობალური და კონცეპტუალური ცვლილებები ტურიზმის უსაფრთხოების სფეროში“. სტუ, IV საერთაშორისო კონფერენცია თბ. 2016

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო სტატიები:

1. „მსოფლიო ეკონომიკის ციკლური განვითარება“ სტუ, „სოციალური ეკონომიკა“ № 6 თბ., 2014;
2. „ტურიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე - 2014 წლის მიმოხილვა“ სტუ, „სოციალური ეკონომიკა“ № 6 თბ., 2015;
3. „ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში“ სტუ, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №1-2 თბ., 2016
4. „მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები“ სტუ, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №4 თბ. 2016
5. „ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები (საფრთხეები მოგზაურობისას) სტუ. „სოციალური ეკონომიკა“ № 6 თბ., 2016;